

რეგისტრებულია ბათუმის საქალაქო
სასამართლოში 2004 წლის 5 მაისს.
რეგისტრაციის ნომერი № 01/08-207

არასამეწარმეო იურიდიული პირი
დემოკრატიის ინსტიტუტი



წ ე ს დ ე ბ ა

ახალი რედაქცია

ქ. ბათუმი
2010 წელი

1. ზოგადი დებულებები.

1.1. არასამეწარმეო იურიდიული პირის სრული სახელწოდებაა: „დემოკრატიის ინსტიტუტი“ (შემდგომში - საზოგადოება).

1.2. საზოგადოება წარმოადგენს მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებას, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, საქართველოს სხვა მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

1.3. საზოგადოება არის არასამეწარმეო იურიდიული პირი. მას გააჩნია საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში, საკუთარი ქონება, ბეჭედი, ემბლემა და იურიდიული პირის რეკვიზიტები.

1.4. საზოგადოება იქმნება განუსაზღვრელი ვადით, მისი საქმიანობა ხორციელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

1.5. საზოგადოების დამფუძნებლები:

ა) გენადი გელაძე, საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 10.03.1981 წ. ხულოს რაიონში. მცხოვრები ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი ადღია. პირადობის მოწმობა №ბ0016222, პირადი №61005008465, გაცემულია ხელვაჩაურის რ-ის შს განყოფილების მიერ 1998 წ. 09 ივლისს, პროფესია – იურისტი.

ბ) ამირან ბერიძე, საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 29.10.1979 წ. ქობულეთის რაიონში. მცხოვრები ქობულეთის რაიონში, სოფელი გორგაძეები. პირადობის მოწმობა №ა0023400, პირადი №81005001548, გაცემული ქობულეთის შს I ქვეგანყოფილების მიერ 1997 წ. 13 მაისს. პროფესია – იურისტი.

გ) სალომე სარუა, საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 01.10.1981 წ. ქ. სოხუმში. მცხოვრები გულრიფშის რაიონში, სოფელი მაჭარა. პირადობის მოწმობა №ე0028286, პირადი №62004003257, გაცემული გულრიფშის შს განყოფილების მიერ 19989 წ. 09 ივლისს. დროებით მცხოვრები ქ. ბათუმი ლერმონტოვის ქ. №107, ბ. 81. პროფესია – იურისტი.

დ) ლიანა ქაჯაია, საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 09.05.1978 წ. ქ. ბათუმი. მცხოვრები ქ. ბათუმი ფარნავაზ მეფის ქ. №93/99 ბ. 40. პასპორტის №0254964, პირადი № 61001011556 გაცემული საქართველოს შს სამინისტროს მიერ 1997 წ. 2 ივლისს. პროფესია – ფარმაცევტი.

ე) მირანდუხტ აბულაძე, საქართველოს მოქალაქე, დაბადებული 16.07.1981 წ. ხელვაჩაურის რაიონში. მცხოვრები ქ. ბათუმი 9 აპრილის ქ. №15. პასპორტის №0131101, პირადი № 61001018130 გაცემული ბათუმის შს სამინისტროს მიერ 1998 წ. 6 ივლისს. პროფესია – იურისტი.

1.6. საზოგადოების იურიდიული მისამართია: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. №93/99, ბ-40

2. საზოგადოების მიზნები და მათი განხორციელების გზები

2.1. საზოგადოების უმთავრესი საწესდებო მიზანია საქართველოში დემოკრატიული, სამოქალაქო საზოგადოების აშენება, ასევე ქონების დაგროვება საქველმოქმედო, სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი ან საზოგადოებრივად სასარგებლო სხვა საქმიანობების ხელშეწყობისათვის. ამ მიზნების მისაღწევად იგი ხელს უწყობს:

ა) დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას საზოგადოებაში;

ბ) ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვას, მათი დარღვევის ფაქტების გამოვლენას და შესაბამის რეაგირებას;

გ) საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში;

დ) სახელმწიფო ორგანოების და თანამდებობის პირების საქმიანობის საჯაროობის უზრუნველყოფას;

ე) საარჩევნო პროცესის სრულყოფას და სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფას;

ვ) მოსახლეობის განათლების დონის ამაღლებას.

ზ) არასამთავრობო ორგანიზაციების პოტენციალის, რესურსებისა და შესაძლებლობების განვითარებას.

2.2. საზოგადოება თავის საქმიანობაში იყენებს ყველა კანონიერ გზებსა და საშუალებებს, მას უფლება აქვს:

ა) დაარსოს საზოგადოების ფილიალები (რეგიონალური და ადგილობრივი ორგანიზაციები);

ბ) გააჩნდეს ბეჭდვითი ორგანოები, ეწეოდეს საგამომცემლო საქმიანობას;

გ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს დაფუძნებაში, განახორციელოს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა.

2.3. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის განსახორციელებლად ინსტიტუტში იქმნება მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების „სამართლებრივი დაცვის ბიურო“

3. საზოგადოების წევრობა

3.1. საზოგადოების წევრობა ნებაყოფლობითია.

3.2. საზოგადოების წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი.

3.3. საზოგადოების წევრად მიღების და წევრობის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს წევრს ინსტიტუტის გამგეობა.

3.4. საზოგადოების წევრობიდან გასვლა თავისუფალია.

3.5. საზოგადოების წევრი, რომელიც სისტემატიურად უხეშად არღვევს საწესდებო მოთხოვნებს, ჩაიდენს საზოგადოების სახელისა და ღირსების შემლახავ ქმედებას, გაირიცხება საზოგადოებიდან. გაირიცხვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

3.6. საზოგადოების წევრს უფლება აქვს:

ა) აქტიურად მონაწილეობდეს საზოგადოების ორგანოების ფორმირებაში, მათ საქმიანობაში, საწესდებო მიზნების განხორციელებაში;

ბ) მიიღოს ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ და მონაწილეობდეს საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვასა (გარდა იმ საკითხებისა რომლებიც მოითხოვს სპეციალურ გადაწყვეტას) და გადაწყვეტილების მიღებაში;

გ) შეიტანოს საკუთარი წინადადებები საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებით;

დ) ნებისმიერ დროს, განცხადების საფუძველზე შეწყვიტოს წევრობა.

3.7. საზოგადოების წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას საზოგადოების წესდება, შეასრულოს ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებები;

ბ) გაუფრთხილდეს საზოგადოების სახელსა და ქონებას.

4. საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურა.

4.1 საერთო კრება.

4.1.1. საზოგადოების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა წელიწადში ერთხელ მაინც. რიგგარეშე კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს – საზოგადოების წევრთა 1/10-ის წერილობითი მოთხოვნით, გამგეობის ან სარევიზიო კომისიის ინიციატივით, კრების დღის წესრიგის მითითებით.

4.1.2. საერთო კრების მოწვევის შესახებ ყველა წევრს უნდა ეცნობოს წერილობით ან საზოგადოების ბეჭდვით ორგანოში ინფორმაციის გამოქვეყნებით, ყრილობამდე ორი კვირით ადრე მაინც, დღის წესრიგისა და კრების ჩატარების ადგილის მითითებით.

4.1.3. საერთო კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა სულ ცოტა 2/3.

4.1.4. საერთო კრებაზე გადაწყვეტილება წესდების შეცვლის ან წესდებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე მიიღება დამსწრე წევრთა ხმების 2/3 უმრავლესობით, საერთო კრებაზე ყველა სხვა საკითხზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით. გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ მაშინ, თუ საკითხი საერთო კრების მოწვევისას დღის წესრიგში იყო შეტანილი.

4.1.5. საერთო კრების განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) საზოგადოების წესდების დამტკიცება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;

ბ) საზოგადოების გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა, მათი ანგარიშის მოსმენა და დამტკიცება;

გ) საზოგადოების საქმიანობების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;

დ) წინამდებარე წესდების 2.2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება;

ე) საზოგადოების წლიური ბიუჯეტის, ბიუჯეტში ცვლილებების და დამატებების დამტკიცება.

4.2 გამგეობა

4.2.1. საზოგადოების მუდმივმოქმედ აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენს გამგეობა, რომელიც აირჩევა 4 წლის ვადით და შედგება 5 წევრისაგან.

4.2.2. საზოგადოების გამგეობის სხდომები მოიწვევა სამ თვეში ერთჯერ მაინც. რიგგარეშე სხდომები შეიძლება მოწვეული იქნას გამგეობის წევრთა 2/3-ის ან თავმჯდომარის ინიციატივით, იგი ტარდება მოთხოვნიდან არანაკლებ ერთი კვირის ვადაში.

4.2.3. გამგეობის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების 2/3-ით.

4.2.4. გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) საერთო კრების გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფა;

ბ) საერთო კრებაზე წინადადებების შეტანა, განსახილველ და გადასაწყვეტ საკითხთა მომზადება, აგრეთვე საერთო კრების მოწვევასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება;

გ) წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების მომზადება და დასამტკიცებლად საერთო კრებისათვის წარდგენა;

დ) ფარული კენჭისყრით გამგეობის წევრთაგან გამგეობის თავმჯდომარის არჩევა;

ე) საზოგადოების სტრატეგიული განვითარების გეგმისა და საბიუჯეტო პარამეტრების დამტკიცება;

ვ) საზოგადოების წევრად მიღების, წევრობიდან გასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

ზ) საზოგადოების ქონებისა და სახსრების განკარგვა;

თ) წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების მიზნით საჭიროების მიხედვით კომისიების, სამუშაო ჯგუფების შექმნა;

ო) ბიუჯეტის და მასში ცვლილებების და დამატებების პროექტის შემუშავება და დასამტკიცებლად საერთო კრებისათვის წარდგენა.

კ) წევრებს სხვა საკითხებს, რომლებიც ამ წესდებით არ განეკუთვნება საერთო კრებისა და სხვა მმართველი ორგანოების კომპეტენციას.

4.2.5. საზოგადოების გამგეობა ანგარიშვალდებულია საერთო კრების წინაშე.

4.2.6. საზოგადოების გამგეობის წევრებს შეიძლება დაენიშნოს ფულადი ანაზღაურება ხელფასის სახით. ხელფასის დანიშნვის და თანხის ოდენობის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება.

4.3. გამგეობის თავმჯდომარე

4.3.1. საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებას ახორციელებს გამგეობის თავმჯდომარე, (შემდგომ თავმჯდომარე), რომელიც აირჩევა გამგეობის მიერ 3 წლის ვადით;

4.3.2. გამგეობის თავმჯდომარის კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს გამგეობის ყოველ წევრს;

თავმჯდომარე:

ა) წარმართავს საზოგადოების საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად;

ბ) ხელმძღვანელობს გამგეობის საქმიანობას და უძღვება მის სხდომებს;

გ) წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში;

დ) საზოგადოების სახელით აწარმოებს მოლაპარაკებებს, დებს ხელშეკრულებებს;

ე) წევრებს კონკრეტული მიზნით შექმნილ კოალიციებში საზოგადოების გაერთიანების საკითხს და რის შესახებაც აცნობებს გამგეობის წევრებს;

ვ) ზედამხედველობს საზოგადოების ფინანსური სახსრებისა და მატერიალური ქონების მართვას;

ზ) ხელს აწერს საზოგადოების შესაბამის ოფიციალურ და ფინანსურ დოკუმენტაციას;

თ) ნიშნავს და ათავისუფლებს საზოგადოების თანამშრომლებს;

ი) გამოსცემს ბრძანებებსა და განკარგულებებს;

კ) ზედამხედველობს საზოგადოების თანამშრომელთა საქმიანობას. აწესრიგებს ყველა შიდა ორგანიზაციულ და ტექნიკურ საკითხებს

ლ) ასრულებს ამ წესდებით დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

4.3.3. თავმჯდომარეს უფლება არა აქვს იმავდროულად იყოს საჯარო სამსახურში ან ეწეოდეს ისეთ საქმიანობას, რომელიც ხელს უშლის მის მიერ თავმჯდომარის უფლებამოსილებათა განხორციელებას დატვირთვის ან ინტერესთა შეუთავსებლობის გამო;

4.3.4. თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან საზოგადოების საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის შეუძლია მხოლოდ გამგეობას. ასეთ შემთხვევაში გამგეობა ერთი თვის ვადაში ირჩევს ახალ თავმჯდომარეს დარჩენილი ვადით.

4.3.5. თავმჯდომარის ხელფასის ოდენობას განსაზღვრავს საერთო კრება.

5. საზოგადოების საქმიანობაზე კონტროლი.

5.1. საზოგადოების საფინანსო და სამეურნეო საქმიანობაზე კონტროლის განსახორციელებლად შეიძლება შეიქმნას სარევიზიო კომისია სულ ცოტა 3 წევრის შემადგენლობით.

5.2. სარევიზიო კომისია აირჩევა საერთო კრების მიერ სამი წლის უფლებამოსილების ვადით.

5.3. სარევიზიო კომისიაში შემავალი პირი იმავდროულად არ შეიძლება იყოს საზოგადოების გამგეობის წევრი ან მუდმივი ანაზღაურების მქონე თანამშრომელი;

5.4. სარევიზიო კომისია ექვს თვეში ერთხელ მაინც აწყობს საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტების რევიზიას და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციას. რევიზიის შედეგები წარედგინება გამგეობას და მორიგ საერთო კრებას;

5.5. სარევიზიო კომისიის საქმიანობა ხორციელდება საზოგადოების საერთო კრების მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

5.6. სარევიზიო კომისია თავის შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს.

5.7. სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია საერთო კრების წინაშე.

6. საზოგადოების ქონება და ფინანსური სახსრები.

6.1. საზოგადოების ქონებას შეადგენს ის მატერიალური ფასეულობანი, რომლებიც მოცემული წესდების შესაბამისად გათვალისწინებულია ინსტიტუტის საქმიანობის უზრუნველყოფისათვის.

6.2. საზოგადოების სახსრები იქმნება:

ა) გრანტებით;

ბ) კანონით დადგენილი წესით საწარმოო და სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავლებით;

გ) სხვა წყაროებით, რომლებიც არ არის აკრძალული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

6.3. საზოგადოებას შეუძლია საკუთრებაში იქონიოს უძრავ-მოძრავი ქონება ფულადი სახსრები, ფასიანი ქაღალდები და სხვა, რომელიც საჭიროა წესდებით გათვალისწინებული მიზნების უზრუნველყოფისათვის.

7. საზოგადოების საწარმო-სამეურნეო საქმიანობა.

7.1. საზოგადოების უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით წარმართოს დამხმარე ხასიათის ეკონომიკური საქმიანობა და შექმნას იურიდიული პირის უფლებების მქონე საწარმოები, სამეურნეო ანგარიშიანი ორგანიზაციები და მათგან მიღებული შემოსავალი გამოიყენოს საწესდებო მიზნისა და ამოცანების განხორციელებისათვის.

7.2. საზოგადოების უფლება აქვს დააფუძნოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, გასწიოს საგამომცემლო, ბეჭდვითი და სარეკლამო საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.3. აღებულ ვალდებულებებზე საზოგადოების პასუხს აგებს თავისი ქონებით.

8. საზოგადოების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

8.1. რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2. საზოგადოების ლიკვიდაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) გაკოტრების ან რეგისტრაციის გაუქმებისას;

ბ) საერთო კრების გადაწყვეტილებით;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

8.3. საზოგადოების ლიკვიდაციას ახორციელებს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე;

8.4. საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები.

8.5. ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა იმავე ან მსგავსი მიზნების სხვა არასამეწარმეო იურიდიულ პირს საზოგადოების საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე.

8.6. ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს.

ინსტიტუტის დამფუძნებლები:

1. გენადი გელაძე
2. ამირან ბერიძე
3. სალომე სარუა
4. ლიანა ქაჯაია
5. მირანდუხტ აბულაძე

გამგეობის წევრები:

1. გენადი გელაძე
2. ალექსანდრე ლორთქიფანიძე
3. არჩილ ხახუტაიშვილი
4. რამინ გვარიშვილი
5. სიმონ ასათიანი